GÜRTİAD

HAFTALIK EKONOMİ BÜLTENİ

კვირის ეკონომიკური გამოცემა

11 Eylül / სექტემბერი 2023

Nüfus / მოსახლეობა	GSYİH ($) / მშპ ($)	GSYH (büyüme) /მშპ	İşsizlik / უმუშევრობა	Enflasyon /ინფლაცია
3 736.4	6671.9	10.1%	17.3 %	0.9%

BEKO ve ELIT Electronics Ortak Oldu

BEKO და ELIT Electronics -ი დამეგობრდნენ

Dünyanın önde gelen uluslararası beyaz eşya ve tüketici elektroniği markası “Beko” 2023’ün Eylül ayından itibaren “Elit Electronics” mağazalarında satışa çıkarılacak. “Elit Electronics” Gürcistan’ın 15 büyük şehrinde faaliyette bulunmaktadır ve ortaklık çerçevesinde her bir şehirde “Beko”nun en yüksek kaliteli elektronik ürünleri sunacaktır.

“Beko” 26 yıldır Gürcistan pazarında başarılı bir şekilde faaliyet göstermekte olup bugünlerde 100’e kadar ticaret noktasında satılmakta. Dünya çapında Avrupa’nın en büyük 3 beyaz eşya markası arasında yer alan “Beko” 7 kıtada 150 ülkede temsil ediliyor. Bügün “Beko”nun 300 000 000 müşterisi bulunmaktadır.

Söz konusu işbirliği Gürcistan’ın beyaz eşya pazarını daha da çeşitli ve ilginç kılar, müşterilere “Beko”nun en yüksek kaliteli tüketici elektroniği daha geniş yelpazede ulaşıp onlara ekstra rahatlık getirecektir.

მსოფლიოს წამყვანი საერთაშორისო საყოფაცხოვრებო ტექნიკის ბრენდი ბეკო 2023 წლის სექტემბრიდან ელიტ ელექტრონიქსის მაღაზიებში გაიყიდება. ელიტ ელექტრონიქსი საქართველოს 15 დიდ ქალაქში ოპერირებს და პარტნიორობის ფარგლებში, თითოეულ მათგანში წარმოდგენილი იქნება Beko-ს უმაღლესი ხარისხის ტექნიკა.

Beko უკვე 26 წელია, წარმატებით ოპერირებს ქართულ ბაზარზე და დღეისთვის, 100-მდე სავაჭრო წერტილშია წარმოდგენილი. მსოფლიოს მასშტაბით Beko ევროპის ტოპ 3 ყველაზე დიდი საყოფაცხოვრებო ტექნიკის ბრენდებს შორის ადგილს იკავებს და 7 კონტინენტის 150 ქვეყანაშია წარმოდგენილი. დღეისათვის Beko 300 მილიონ მომხმარებელს ითვლის.

აღნიშნული კოლაბორაცია კიდევ უფრო მრავალფეროვანსა და საინტერესოს გახდის ქართულ საყოფაცხოვრებო ტექნიკის ბაზარს და შესაძლებლობას მისცემს მომხმარებელს, უფრო მეტ ფილიალში შეიძინოს ბეკოს უმაღლესი ხარისხის საყოფაცხოვრებო ტექნიკა, რაც დამატებით კომფორტს შეუქმნის მათ.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Ekonomi Bakanı EBRD Başkan Yardımcısı İle Toplantı Gerçekleştirdi

ეკონომიკის მინისტრმა EBRD-ის პირველ ვიცე-პრეზიდენტთან შეხვედრა გამართა

Başbakan Yardımcısı, Ekonomi ve Sürdürülebilir Kalkınma Bakanı Sn. Levan Davitashvili Avrupa İmar ve Kalkınma Bankası (EBRD) Başkanı Sn. Jürgen Rigterink ile görüştü.

Toplantıda Avrupa İmar ve Kalkınma Bankası'nın Gürcistan'daki faaliyetlerinden bahsedip Gürcistan ekonomisinin gelişmesinde EBRD'nın önemli rolü vurgulandı.

En büyük kısmı (%82) özel sektörü desteği için harcanmış olan Banka tarafından Gürcistan'a verilmiş maddi desteğinin yaklaşık 5 milyar Euro teşkil ettiğini belirtildi.

EBRD Başkan Yardımcısı ile görüşmede ayrıca Gürcistan'da mevcut ve planlanan yapısal reformları ve yenilenebilir enerji ve ulaşım alanları da dahil olmak üzere büyük yatırım projelerinin ilerlemesi ele alındı, bilhassa ulaşım koridorunun potansiyeli, Anaklia derin su limanı, Tiflis'in yeni uluslararası havalimanı projeleri vs. konular dahil Gürcistan Hükümeti'nin Karadeniz liman altyapısının geliştirilmesine ilişkin vizyonu görüşüldü.

ვიცე-პრემიერი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი ლევან დავითაშვილი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ვიცე-პრეზიდენტს იურგენ რიგტერინკს შეხვდა.

შეხვედრაზე საუბარი წარიმართა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის საქმიანობაზე საქართველოში. ხაზი გაესვა EBRD - ის მნიშვნელოვან როლს საქართველოს ეკონომიკის განვითარების მიმართულებით.

აღინიშნა, რომ ბანკის ფინანსურმა კონტრიბუციამ საქართველოში დაახლოებით 5 მლრდ. ევრო შეადგინა, რომლის უდიდესი ნაწილი (82 პროცენტი) კერძო სექტორის მხარდაჭერას მოხმარდა.

EBRD-ის ვიცე-პრეზიდენტთან შეხვედრაზე ასევე განხილულ იქნა საქართველოში მიმდინარე და დაგეგმილი სტრუქტურული რეფორმები და მსხვილი საინვესტიციო პროექტების მიმდინარეობა, მათ შორის, განახლებადი ენერგეტიკისა და ტრანსპორტის სფეროებში.

კერძოდ, შუა სატრანსპორტო დერეფნის პოტენციალი, საქართველოს მთავრობის ხედვა შავი ზღვის საპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, მათ შორის, ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის, თბილისის ახალი საერთაშორისო აეროპორტის პროექტებზე და სხვ.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Avrupa Birliği Dışişleri ve Güvenlik Politikaları Yüksek Temsilcisi, Avrupa Komisyonu Başkan Yardımcısı Sn. Josep Borrell'in Gürcistan Başbakanı İle Görüşmesi

საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის, ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტის, ბ-ნ ჯოზეფ ბორელის შეხვედრა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან

Gürcistan Hükümet Dairesi'nde Başbakan Sayın Irakli Garibashvili'nin başkanlığında Avrupa Birliği Dışişleri ve Güvenlik Politikaları Yüksek Temsilcisi, Avrupa Komisyonu Başkan Yardımcısı Sayın Josep Borrell ile genişletilmiş formatta bir görüşme gerçekleştirildi.

Görüşmede taraflar Gürcistan ve Avrupa Birliği arasındaki ortaklığın her esas yön üzerine dikkat çekip Gürcistan'ın Avrupa Birliği'ne girme sürecine özel dikkat verdi.

Gürcistan tarafından Avrupa Konseyi'nin bildirmiş olduğu 12 tavsiyenin uygulanma süreci detaylı olarak incelendi.

Belirtildiği üzere, Gürcistan Hükümeti'nin gayretleriyle tavsiyelerin uygulanmasına yönelik sonucunda hem kurumsal reformları, hem 100'den daha fazla mevzuat değişikliğine başlatılan kapsamlı ve şeffaf bir süreç sağlandı.

Gürcü tarafının hem Avrupa Konseyi'nin tavsiyelerinin uygulanmasına, hem genelde Avrupa Birliği'ne entegrasyon yolunda tanımlanan reform süreçlere olan sadakatı bir kez daha vurgulandı.

Gürcü tarafı Avrupa Birliği'ne reformların uygulanmasında yıllarca süren pratik yardımlarından dolayı teşekkürlerini sundu.

Avrupa Birliği tarafından Gürcistan'ın çabalarını gereğince takdir edilip ülkeye aday statüsünü verilerek Gürcistan'ın Avrupa Entegrasyonu yolunda önemli bir adımın daha atılacağına dair ümit ifade edildi.

Gürcistan'ın Avrupa Birliği ile kurumsal, yasal ve sektörel yakınlaşmasına katkı sağlayan ve ülkeyi Avrupa Birliği üyeliğine önemli ölçüde hazırlatan Derin ve Serbest Ticaret Anlaşması da dahil olmak üzere Ortaklık Anlaşması'nın uygulama süreci olumlu değerlendirildi.

Taraflar Gürcistan-Avrupa Birliği Ortaklık Konseyi'nin bir sonraki toplantısının bu sene, 7 Aralık'ta yapılması kararı da dahil olmak üzere Avrupa Birliği ile üst düzey işbirliğinin mevcut dinamiklerini hoş karşıladılar.

ARKAS GEORGIA LLC · EFES GEORGIA · LC WAIKIKI · İŞBANK · MAQRO CONSTRUCTION · nurol · ŞİŞECAM · TAV Airports · UMETEK ENGINEERING

Toplantıda Gürcistan'ın Avrupa ile Asya arasında enerji koridorları ve geçiş imkanlarının çeşitlendirmesi açısından önemli jeostratejik rölü dikkate alındı.

Bu bağlamda Karadeniz'in imkanlarından azami ölçüde faydalanılması da dahil Gürcistan'ın dahiliyeti ile sürdürülen projeleri olumlu değerlendirildi.

Bölgedeki güvenlik ortamına ve barış ve istikrarın sağlanması sürecinde Avrupa Birliği'nin önemli rolünün altını çizildi.

Gürcü tarafı Yüksek Temsilciyi Gürcistan'ın işgal altındaki topraklarındaki durumu ve ülkenin barışçıl politikası üzerine bilgilendirdi. Ayrıca Avrupa Birliği izleme misyonu'nun sahadaki performansına dair övgüde bulundu.

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლეს წარმომადგენელთან, ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტთან ჯოზეფ ბორელთან გაფართოებულ ფორმატში შეხვედრა გაიმართა.

შეხვედრაზე მხარეებმა ყურადღება გაამახვილეს საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული პარტნიორობის ყველა ძირითად მიმართულებაზე და განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების პროცესს.

დეტალურად იქნა განხილული საქართველოს მიერ ევროპული საბჭოს 12 რეკომენდაციის შესრულების პროცესი.

როგორც აღინიშნა, საქართველოს ხელისუფლების ძალისხმევით უზრუნველყოფილ იქნა რეკომენდაციების შესრულების ინკლუზიური და გამჭვირვალე პროცესი, რომლის შედეგადაც განხორციელდა როგორც ინსტიტუციური რეფორმები, ასევე ინიცირებულ იქნა 100-ზე მეტი საკანონმდებლო ცვლილება.

კიდევ ერთხელ ხაზი გაესვა როგორც ევროპული საბჭოს რეკომენდაციების შესრულების, ისე ზოგადად ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე განსაზღვრული რეფორმების პროცესის მიმართ ქართული მხარის ერთგულებას.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

ქართულმა მხარემ მადლობა გადაუხადა ევროკავშირს რეფორმების იმპლემენტაციის პროცესში წლების განმავლობაში გაწეული პრაქტიკული დახმარებისთვის.

გამოითქვა იმედი, რომ ევროკავშირის მხრიდან სათანადოდ დაფასდება საქართველოს ძალისხმევა და კანდიდატის სტატუსის მინიჭებით გადაიდგმება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე.

დადებითი შეფასება მიეცა ასოცირების შეთანხმების, ღრმა და თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ჩათვლით, შესრულების პროცესს, რაც ხელს უწყობს საქართველოს ევროკავშირთან ინსტიტუციურ, საკანონმდებლო და სექტორულ დაახლოებას და მნიშვნელოვნად ამზადებს ქვეყანას ევროკავშირში წევრობისთვის.

მხარეები მიესალმნენ ევროკავშირთან მაღალი დონის თანამშრომლობის არსებულ დინამიკას, მათ შორის, გადაწყვეტილებას საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მორიგი შეხვედრის მიმდინარე წლის 7 დეკემბერს გამართვის გადაწყვეტილებას.

შეხვედრაზე განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საქართველოს მნიშვნელოვან გეოსტრატეგიულ როლზე ევროპასა და აზიას შორის ენერგოდერეფნებისა და სატრანზიტო შესაძლებლობების დივერსიფიკაციის თვალსაზრისით.

ამ მხრივ დადებითი შეფასება მიეცა საქართველოს ჩართულობით მიმდინარე პროექტებს, მათ შორის, შავი ზღვის შესაძლებლობების მაქსიმალურად ათვისებას.

ყურადღება დაეთმო რეგიონში შექმნილ უსაფრთხოების გარემოს და ევროკავშირის მნიშვნელოვან როლს მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფის პროცესში.

ქართულმა მხარემ უმაღლეს წარმომადგენელს გაუზიარა ინფორმაცია საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში არსებულ ვითარებაზე და საქართველოს სამშვიდობო პოლიტიკაზე, ასევე მაღალი შეფასება მიეცა ადგილზე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მუშაობას.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

2. Çeyrekte En Çok Doğrudan Yabancı Yatırımlar Hangi Sektörlere Yapıldı?

რომელ სექტორებში ჩაიდო II კვარტალში ყველაზე მეტი FDI?

2023'ün 2. çeyreğinde Gürcistan'a gelen doğrudan yabancı yatırımların tutarı yıllık olarak yüzde 29.9 artarak 505.7 milyon Dolara ulaştı.

Ön verilere göre şu an için doğrudan yabancı yatırımların en büyük kısmı- (%83.5) 422.5 milyon Dolarlık yeniden yatırım oluşturuyor. Özsermaye payı ise geçen seneye göre %23.3 azaltmış olup toplam doğrudan yabancı yatırımların yüzde 14.4'üne karşılık gelen 72.9 milyon Lari'yi oluşturdu. Yeniden yatırım 422.5 milyon doları bulup payı %83.5 olarak belirlendi.

2. Çeyrekte yapılan doğrudan yabancı yatırımların ekonomik sektörlere göre dağılımı aşağıdaki gibidir:

1. Finans ve sigorta faaliyetleri- 255.7 Milyon Dolar;
2. Enerji- 137.2 Milyon Dolar;
3. İmalat sanayii- 35.6 Milyon Dolar;
4. Ticaret- 34.9 Milyon Dolar;
5. Gayrimenkul- 13.2 Milyon Dolar;
6. Bilişim ve iletişim- 10.6 Milyon Dolar;
7. Ulaştırma- 10.1 Milyon Dolar;
8. Sanat, eğlenme ve dinlenme- 6.7 Milyon Dolar;
9. Eğitim- 6.1 Milyon Dolar;
10. İdari işler- 4.3 Milyon Dolar.

2023'ün 2. çeyreğinin verilerine göre, Gürcistan'a en fazla yatırım aşağıdaki ülkelerden geldi:

- Birleşik Krallık- 168.3 Milyon Dolar;
- Türkiye- 71 Milyon Dolar;
- Hollanda- 62.7 Milyon Dolar;
- Çekya- 55.6 Milyon Dolar;
- Malta- 36.7 Milyon Dolar;
- Rusya- 28.1 Milyon Dolar;
- ABD- 15.5 Milyon Dolar;
- Birleşik Arap Emirlikleri- 11.7 Milyon Dolar;
- Japonya- 10.5 Milyon Dolar;
- Azerbaycan- 9.1 Milyon Dolar.

2023 წლის II კვარტალში საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა წლიურად 29.9%-ით გაიზარდა და 505.7 მლნ დოლარი შეადგინა.

წინასწარი მონაცემებით, FDI-ს უდიდესი წილი - 83.5% ამ პერიოდისთვის რეინვესტიციას უკავია, რომლის მოცულობა 422.5 მლნ დოლარია. რაც შეეხება სააქციო კაპიტალის წილს, წინა წლის შესაბამისი პერიოდის მონაცემებთან შედარებით ის 23.3%-ით შემცირდა და 72.9 მლნ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 14.4%-ია.
რეინვესტიციამ 422.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, ხოლო მისი წილი 83.5 პროცენტით განისაზღვრა.

II კვარტალში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით ასე ნაწილდება:

1. საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები - 255.7 მლნ დოლარი;
2. ენერგეტიკა - 137.2 მლნ დოლარი;
3. დამამუშავებელი მრეწველობა - 35.6 მლნ დოლარი;
4. ვაჭრობა - 34.9 მლნ დოლარი;
5. უძრავი ქონება - 13.2 მლნ დოლარი;
6. ინფორმაცია და კომუნიკაცია - 10.6 მლნ დოლარი;
7. ტრანსპორტი - 10.1 მლნ დოლარი;
8. ხელოვნება, გართობა და დასვენება - 6.7 მლნ დოლარი;
9. განათლება - 6.1 მლნ დოლარი;
10. ადმინისტრაციული საქმიანობები - 4.3 მლნ დოლარი.

2023 წლის მე-2 კვარტალის მონაცემებით, საქართველოს უმსხვილესი ინვესტორი ქვეყნებია:

- გაერთიანებული სამეფო - 168.3 მლნ დოლარი;
- თურქეთი - 71 მლნ დოლარი;
- ნიდერლანდები - 62.7 მლნ დოლარი;
- ჩეხეთი - 55.6 მლნ დოლარი;
- მალტა - 36.7 მლნ დოლარი;
- რუსეთი - 28.1 მლნ დოლარი;
- აშშ - 15.5 მლნ დოლარი;
- არაბთა გაერთიანებული საამიროები - 11.7 მლნ დოლარი;
- იაპონია - 10.5 მლნ დოლარი;
- აზერბაიჯანი - 9.1 მლნ დოლარი.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Telavi'de Yeni Havalimanı İnşa Edilecek

თელავში ახალი აეროპორტი აშენდება

Telavi'de tarihi bir aerodromun bulunduğu arazide projelendirme-inşaat sürecine bu sene başlatılacak olan yeni, çağdaş standartlarına uygun bir havalimanı inşa edilecek. Projeyi gerçekleştirmek için 30 milyon Lari kadar bütçe öngörülmekte.

Renovasyon kapsamında pist yenilenecek, çağdaş navigasyon sistemi kurulacak, yeni bir terminal inşa edilecek ve modern altyapı kurulacaktır.

Yeni havalimanı iç hat uçuşların ve turizmin gelişmesini destekleyecek. 2024 yılından itibaren Telavi havalimanı'nda Batum, Kutaisi, Ambrolauri ve Mestia'dan iç hat uçuşları gerçekleştirilecektir, bu bölgeden bölgeye uluslararası turistlerin akışını artarak Kakheti bölgesine ekonomik fayda temin edecektir.

თელავში, ისტორიული აეროდრომის ტერიტორიაზე ახალი, თანამედროვე სტანდარტების აეროპორტი აშენდება, რომლის პროექტირება-მშენებლობის პროცესი მიმდინარე წელს დაიწყება. პროექტის განხორციელებისთვის 30 მილიონამდე ლარია გათვალისწინებული.

განახლდება ასაფრენ-დასაფრენი ზოლი, მოეწყობა თანამედროვე სანავიგაციო სისტემები, აშენდება ახალი ტერმინალი და მოეწყობა თანამედროვე ინფრასტრუქტურა.

ახალი აეროპორტი ხელს შეუწყობს შიდა ავიაციის და ტურიზმის განვითარებას. 2024 წლიდან თელავის აეროპორტი მიიღებს შიდა ფრენებს ბათუმიდან, ქუთაისიდან, ამბროლაურიდან და მესტიიდან. ეს ხელს შეუწყობს შიდა და საერთაშორისო მოგზაურების მობილობის გაზრდას რეგიონიდან რეგიონში და მეტ ეკონომიკურ სარგებელს მოუტანს კახეთის რეგიონს.

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

2022 Yılında Gürcistan'ın 100 000'den Daha Fazla Vatandaşı Göçmen Oldu

2022 წელს ემიგრანტად საქართველოს 100 000-ზე მეტი მოქალაქე იქცა

2023 Yılın 2. Çeyreğinde İş Sektörü Cirosu %15 Artarak 48 Milyar GEL'i Oluşturdu. Her iki çeyreğin Toplam Cirosu 92 Milyar GEL'i Aştı

2023 წლის მეორე კვარტალში ბიზნეს სექტორის ბრუნვა გაიზარდა 15%-ით და 48 მილიარდი ლარი შეადგინა. ორივე კვარტლის მაჩვენებელი ჯამურად 92 მილიარდ ლარს გადასცდა

2023 Yılın 2. Çeyreğinde İş Sektöründeki İş Sayısı 42 000 Artarak 737 000'i Teşkil Etmiştir

2023 წლის მეორე კვარტალში ბიზნეს სექტორში სამუშაო ადგილების რაოდენობა 42 000-ით გაიზარდა და 737 000 შეადგინა



ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LCWAIKIKI İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING

Resmi Kur Göstergeleri / ოფიციალური გაცვლითი კურსი

GEL/USD – 2.6251 TRY/GEL – 0.0978 EUR/GEL – 2.8083 GBP/GEL – 3.2738

USD/GEL

04 - 11 Eylül 2023



USD/TR

04 - 11 Eylül 2023

TRY/GEL

04 - 11 Eylül 2023

BTC – 28 852. 9

04 - 11 Eylül 2023

ARKAS GEORGIA LLC EFES GEORGIA LC WAIKIKI იშბანკი İŞBANK MAQRO CONSTRUCTION nurol ŞİŞECAM TAV Airports UMETEK ENGINEERING